ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №444830

ნომერი: AR193201

თარიღი : 16.11.2012

გაცემის თარიღი : 23.11.2012

გაცნობის თარიღი : 24.11.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გელოვანი , N 2 , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/153);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბერიკა გელაშვილი პ/ნ 01008008964
- თბილისი ლ.კავსაძის ქ. N 8 ბ. 31

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მოცემული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.10.11.001.153) წარმოადგენს რთული რელიეფის მქონე ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს უშუალოდ ქალაქის ერთ-ერთი მთავარი ჩქაროსნული მაგისტრალის გასწვრივ, სადაც შეუზღუდავია საავტომობილო მოძრაობა. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, არ მიაჩნია შესაძლებლად ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსდეს ავტოგაზგასამართი სადგური.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge